საზოგადოებრივი მაუწყებელი
› PUBLIC.GE

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში
განთავსების მიზნით წარმოდგენილი

# სოციალური რეკლამის
## ტექნიკური მახასიათებლების
# მოთხოვნები

# წარდგენის წესი

წერილობითი მიმართვა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის სახელზე და ვიდეორგოლი ნებისმიერ ციფრულ მატარებელზე წარმოდგენილი უნდა იყოს სარეკლამო კამპანიის დაწყებამდე 7 დღით ადრე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ადმინისტრაციულ შენობაში ან ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0171 ქ. თბილისი, კოსტავას 68

# განმარტება

საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ

## მუხლი 12. სოციალური რეკლამა

1 სოციალური რეკლამა - საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისკენ, საქველმოქმედო მიზნების მიღწევისკენ, მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ ან/და საზოგადოების ქცევის პოზიტიური თვალსაზრისით შეცვლის ხელშეწყობისკენ მიმართული რეკლამა, რომელიც არ არის არც კომერციული და არც წინასაარჩევნო რეკლამა და აე შეიცავს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას.

2 სოციალურ რეკლამაში არ უნდა იყოს მოხსენიებული კომერციული ორგანიზაციები და ინდივიდუალური მეწარმეები, მათი საქონლის კონკრეტული მარკები (მოდელები, არტიკულები), აგრეთვე იმ საქონლის კონკრეტული მარკები (მოდელები, არტიკულები), რომელიც წარმოადგენს არაკომერციული ორგანიზაციების დამხმარე სამეწარმეო საქმიანობის შედეგს.

3 ფიზიკური და იურიდიული პირების სოციალური რეკლამის წარმოებისა და გავრცელებისათვის უსასყიდლო საქმიანობა, აგრეთვე ამ პირთა მიერ საკუთარი ქონების, მათ შორის, ფულადი სახსრების, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ამ მიზნით გადაცემა ითვლება საქველმოქმედო საქმიანობად, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია შეღავათები.

# მოთხოვნები

## სოციალური ვიდეორგოლი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანდარტებს:

- ვიდეორგოლი უნდა იყოს გადაღებული და დამონტაჟებული პროფესიონალი ოპერატორის, მემონტაჟის და ხმის რეჟისორის მიერ

- ვიდეორგოლის გამოსახულება არ უნდა იყოს ბუნდოვანი, ტექნიკური წუნის შემცველი, დაცული უნდა იყოს ხმის ბალანსი

- სარეკლამო რგოლი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ხარისხიანი ვიდეოგამოსახულება, კადრირების სწორი რიტმი, ლაკონური ტექსტი, მისადაგებული მუსიკალური რიტმი

- ვიდეორგოლში დაცული უნდა იყოს ქართული ლიტერატურული ენის ნორმები. აუცილებელი გამართული მეტყველება/დიქცია

| | |
|---|---|
| ვიდეოფორმატი | ▪ Full HD (1920x1080) 1080p. mp4 25fps (H264 მაღალი ხარისხის კომპრესიით, “HighBitRate” რეჟიმი, მინიმუმ 30 mbps.)<br>▪ Full HD (1920x1080) 1080p. Quicktime mov 25fps (H264 მაღალი ხარისხის კომპრესიით ან Photo PG-100% quality) |
| აუდიოფორმატი | 48.000 kHz Stereo |
| ქრონომეტრაჟი | არაუმეტეს 30 წამისა |
| განთავსების ხანგრძლივობა | უწყვეტად, არაუმეტეს 30 დღისა |